# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.—სამშაბათი, 18 აპრილი 1900 წ. № 1099

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



## „მ ო ა მ ბ ე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| „მოამბე“ | „ცნობის ფურცელი“ |
|---|---|
| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
| გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში. | გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც. |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, მინაური და უცხოეთის მიმოხილვა. | გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ. |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.

საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

## პარიზის გამოფენაზე წამსვლელთა საყურადღებოდ

პარიზში ნაცხოვრები და ფრანგული ენის მცოდნე ქართველი ჰკისრულობს გაჰყვეს პარიზის მსოფლიო გამოფენის ნახვის მსურველს და სათანადო დახმარება გაუწიოს გამოფენისა და თვით ქალაქის ღირს-შესანიშნავ დაწესებულებათა დათვალიერების საქმეში. იგივე ჰკისრულობს იქითობას ან აქეთობას დაათვალიერებინოს ევროპის სატახტო ქალაქები.—ადრესისა და სასყიდელის შესახებ პირობათა შეტყობა შეიძლება „მოამბე“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციაში. (რ 0—7)

წარსული წლების ჟურნალი „მოამბე“ გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად და 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად. ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.


## ახალი ამბავი

—

✦ ყველას გაგონილი ექნება, რომ ტფილისში არსებობს ეგრედ წოდებული საზოგადო **წიგნთ-საცავი**, რომლითაც სარგებლობა შეიძლება მხოლოდ სწორედ იმ დროს, როცა ყველანი სადილობენ, ე. ი. შუადღის 2 საათიდან საღამოს 4—5 საათამდე. მანამდე და შემდეგაც წიგნთ-საცავი დაკეტილია. ამიტომაც ტფილისელთ არსებობა კი იციან ამ წიგნთ-საცავისა, ხოლო სარგებლობა კი თითქმის არავითარი არ მოაქვს. ახლა შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა გააფართოვოს ეს შენობა, დაადგას ზემოდან კიდევ ერთი სართული. სასურველია, რომ ეხლა მაინც მიაქციონ ყურადღება და საზოგადო წიგნთ-საცავი მართლა საზოგადოდ გახადონ.

✦ ბათუმის საურთიერთო ნდობის საზოგადოების გამგეობის წევრთა **არჩევნები**, რომელიც 26-ს მარტს მოხდა, უკანონოდ იცვნეს და გაუქმებულ იქმნა. იმის ნაცვლად ახალი არჩევნები მოხდება 30 აპრილს.

✦ შაბათს შესდგა კრება საგანგებო კომისიისა შესახებ **სახალხო თეატრისათვის შენობის აგებისა**. კომისიამ გადასწყვიტა დაეკითხოს ქალაქის იურისკონსულტს, თუ რა ნაირად შეიძლება ადგილების შეცვლა, რადგან, თუ კომისია მიიღებს ისარლოვის წინადადებას მიწის დათმობის შესახებ სახალხო თეატრისათვის, სამაგიეროდ ქალაქმა უნდა მისცეს მაშინ ბ-ნ ისარლოვს ქალაქის მიწა.

✦ სოხუმიდან ამ ჟამად **დიდძალი სიმინდი გააქვთ ოსმალეთში**. 1-ლ იანვრიდან დღემდე 100,000 ქილა (ფუთი) მეტი გაიტანეს. თითო ქილა სიმინდში ოსმალები 51 კაპეიკს იძლევიან, ხოლო გლეხები ქილას 49 კაპეიკად ჰყიდიან.

✦ სოხუმიდან გვატყობინებენ: აქ პეტერბურგიდან მოვიდა ამბავი, რომ სახელმწიფო საბჭოში ამ მოკლე ხანში განხილულ იქმნება პროექტი შესახებ **სოხუმის ოლქის შეერთებისა ჩერნომორიის გუბერნიასთან**. ნოვოროსიისკიდან საგუბერნიო მართველობა დ. სოჩაში გადმოვა. სამურზაყანო ზუგდიდის მაზრას მიეწერება, ხოლო აფხაზეთი ჩერნომორიის გუბერნიის ნაწილი შეიქმნება და გაიყოფება სამ მაზრად: ოჩამჩირისა, სოხუმისა და გუდაუთისად.

✦ რუსულ ერთ სამეურნეო გაზეთში (землед. газ.) თავ. ურუსოვი ერთ მეტად საყურადღებო ამბავს სწერს: „ნატურალისტს ი. ივანოვს, რომელიც დიდხანს მუშაობდა პასტერის ინსტიტუტში და რომელიც ეხლა ექსპერიმენტალურ მედიცინის ინსტიტუტშია, შესანიშნავი აღმოჩენა მოუხდენია. მან მიაგნო ძროხის **ხელოვნურად დამაკების** საშუალებას და აგრეთვე დაამტკიცა, რომ სპერმატოზოიდების საშუალებით შესაძლებელია ხელოვნურად ჩასახვა ხელოვნურად მოწყობილს პირობებში (искусственное оплодотвореніе въ искусственной средѣ), რაიცა მეტად შესანიშნავი აღმოჩენაა. ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად ფინანსთა მინისტრის მოხსენებისა, უმაღლესად ჰბრძანა მიეცეს ივანოვს ხაზინიდან 5,000 მან. ამ ცდის განგრძობისათვის.

✦ კითხვა ქალაქის ქუჩების **გაუმჯობესებისათვის** საჭირო ფულის აიანსით აღებისა ან სესხების შესახებ ტრამვაის საზოგადოებისაგან საბოლოოდ გადასწყდება 18 აპრილს.

✦ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის თავს წინადადება შემდეგის შინაარსისა: გაზ. „კავკაზ“-ის მე-97 №-ში დაბეჭდილია შენიშვნა შესახებ იმისა, რომ სუსტად იჭერენ თვალ-ყურს გამგეობის მოხელენი პურზე და ხორცზე **დადებულ ნიხრის დასაცველად** და ამისათვის ტფილისის ყასპები არ სჯერდებიან დადებულ დიდს ნიხრს და ხორცს ჰყიდიან ოროსამი კაპეიკით მეტად, მაშინ, როდესაც საქონელი ახლა ბევრი მოუდით და ფასებიც ძალიან დააკლდა. რადგან ეს შენიშვნა მართალი აღმოჩნდა, ამისათვის მიაქციეთ ყურადღება ამ გარემოებას

და მოახდინეთ განკარგულება, რომ სავაჭრო პოლიციის მოხელეთ რიგიანად დაიჭირონ თვალი ხორცის ნიხრით გაყიდვაზედ და ამასთანავე გამოიკვლიეთ და დააკლეით ფასი ხორცს“.

✦ ბათუმიდან გვატყობინებენ, რომ საქონლის მატარებლით № 109, თბილისიდან 14 აპრილის გამოგზავნილი ოდესაში გასაგზავნათ, ერთი ყუთი თუშური ყველი მოვიდა. რკინის გზის მოხელეთ ყურადღება მიაქციეს ამ ყუთს, რადგანაც სუნი უდიოდა, და როდესაც გახსნეს, აღმოჩნდა, რომ გვამი იყო კაცისა, რომელსაც არც თავი ჰქონდა და არც ფეხები კოჭებს ქვევით. გვამი ორ კლიონკაში იყო გახვეული ტომარაში ჩადებული და გაკერილი. ეს კაცი ასე 35 წლისა უნდა ყოფილიყო ‚ როგორცა სჩანს, ინტელიგენტთაგანი, რადგანაც სუფთა, უმუშავარი ხელები აქვს და ტანოს საცვალი აცვია. ამის შესახებ ტფილისში დეპეშა გაუგზავნა, რომ გამოძიება მოხდეს. გამგზავნი ამ ყუთისა ბესოშვილია. ყუთი კვიტანციის წარმომდგენის სახელობაზე იყო გაგზავნილი.

✦ ფინანსთა სამინისტროში ამ ჟამად აღძრულია კითხვა იმას შესახებ, რომ მომატებულ იქმნას თამბაქოზე **სახელმწიფო გარდასახადი**. ერთ გირვანქა პირველის ხარისხის თამბაქოზე გარდასახადი ერთ მანეთამდე იქმნება, მეორე ხარისხისაზე—56 კ. მესამე ხარისხისაზე კი—24 კ.; გარდა ამისა პირველი ხარისხის პაპიროსებზე აქციზი იქმნება 1000-ზე 1 მ. 90 კაპ., მეორეზე კი—95 კ.

✦ სოხუმიდან გვატყობინებენ: 6 აპრილს, საღამოს 8 საათზე, ცეცხლი წაეკიდა ერთის აქაურის ახალგაზდა რუსის ქალის ხის სახლს. მთელი სახლი ისე დაიწვა, რომ თითქმის ვერაფერი გადაარჩინეს. სახლი სულ იმსხვერპლა ცეცხლმა. აქაურმა პოლიცმეისტერმა ლაკირბაიამ გამოიძია ცეცხლის გაჩენის მიზეზი აუკანასკნელ ხანებში ეს მეოთხეჯერა ჩნდება ცეცხლი და ქალაქის მხრივ არავითარი დახმარება არ ეძლევა მცხოვრებთ, რადგან ცეცხლის საქრობი იარაღი დღემდე არ გაუჩენიათ.

✦ როგორც ისმის, განზრახვა აქვთ **შესცვალონ პროგრამმა** ტფილისის რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლისა; მეტი ადგილი უნდა დაეთმოს იმ საგნების სწავლებას, რომელნიც „მოძრაობის სამსახურს“ შეეხებიან.

✦ სოფ. აწყურიდან (ახალციხის მაზრა) შემდეგს სამწუხარო ამბავს გვატყობინებენ: „2 აპრილს მოულოდნელად გარდაიცვალა აქაური სოფლის ექიმი ივ. ბარამიშვილი, განსვენებული სულ 30 წლის კაცი იყო და მცხოვრებთა საზოგადო სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა დამსახურებული თავისის გულ-შემატკივრობით“.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწემ ბარ. გილდენბრანდმა ნება დართო გახსნილ იქმნას ნავთლუღში რკინის გზის სადგური ოთხფეხი საქონლის დასატვირთად და გადმოსატვირთად, ხოლო ამაზე თვალყურის ჭერა დაევალა ადგილობრივ ვეტერინარს ბ-ნს **ღიუბამოვს**.

✦ კავკასიის საოლქო მზრუნველმა ბ-ნმა იანოვსკიმ წინადადება მისცა სავუბერნიო ვეტერინარს დაათვალიეროს სამჭედლო-სანალბანდო კურსები ბ-ნი ტროფიმოვისა, რომელმაც ჩუღურეთში გახსნა იმ განზრახვით, რომ რიგიანად შეასწავლოს ნალბანდობა ცხენებისა და მუშა საქონლის დასაჭედათ.

✦ ბორჯომიდან გვატყობინებენ, რომ 16 აპრილს, ნაშუადღევის ორ საათზე, № 39 სახალხო მატარებელს ბესარიონ და კონსტანტინე ამაშუყელები დაეცნენ და გაძარცვეს მესამე კლასის მგზავრი გიორგი **ადაბაძიანცი**, რომელსაც ათი თუმანი წაართვეს. დამნაშავენი შეიპყრეს.

✦ როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, სრულიად რუსეთის მომავალი **სამრეწველო გამოფენა** პეტერბურგში მოხდება სწორედ იმ დროს, როდესაც პეტერბურგის საიუბილეიო დღესასწაული იქმნება.

✦ კვირაცხოვლის დღესამწაული ისე არ ჩაივლის ხოლმე, რომ ჩხუბი, ცემა და ვაი-ვაგლახი არ მოხდეს. გუშინ-წინაც, რადგან კარგი დარი იყო, ძალიან ბევრი ხალხი დაესწრო და სადილის შემდეგ შეზარხოშებულთ ჩხუბი მოუვიდათ და მხოლოდ პოლიციის შემწეობით განდევნილ იქმნენ მოჩხუბარნი და დამნაშავეთ შეუდგინეს ოქმი.

✦ კვირას, 23 აპრილს, საქალებო ინსტიტუტის ეკკლესიის დღეობაა, ამისათვის მწირველი ბრძანდება მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი **ფლაბიანე**.

✦ თავადის ასული ნინა **მუხრან-ბატონისა**, უმაღლესის ბრძანებით, დაინიშნა მათ უდიდებულესობათა—დედოფლების ფრეილინათ.

✦ ქუთაისის **სასულიერო სემინარიაში** პირველად წლეულს ათავებენ შეგირდები სწავლას. სულ 30 ყმაწვილმა უნდა დაიჭიროს კურსის დასამთავრებელი ეგზამენი.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი „**ქრისტინე**“, მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა, გამოცემული ბათუმში, ახალი გამომცემელი ამხანაგობის „ცოდნის“ მიერ. ეს პირველი წიგნია ამ ამხანაგობის გამოცემული, შეიცავს 96 გვ., სუფთად არის დაბეჭდილი და ღირს ერთი აბაზი.

✦ საპიორნის ბატალიონს 15-ს აპრილს ჯარის-კაცთა სწავლების დროს წაუხდენიათ რამდენიმე ხე საქალაქო ტყეში. ამის შესახებ გამგეობამ აცნობა სათანადო მთავრობას.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**15 აპრილი**

**მოსკოვი.** დღეს, 15 აპრილს, დიდი მთავრინა ალექსანდრე პეტრეს ასულის დასაფლავების დღეს, მთავარ ანგელოზის ეკკლესიაში მიტროპოლიტმა ვლადიმერმა გადიხადა წირვა და პანაშვიდი. 10 საათზე ეკკლესიაში შეიკრიბნენ სტატს-დამები, კამერ და სხვა ფრეილინები, სასახლის 1 და 2 ჩინები ხელმწიფის ამალა, გენერალიტეტი, თავად-აზნაურობის წინამძღოლი და ქალაქის თავი. აღდგომის მიზეზით ქალებს თეთრი კაბები ეცვათ, კაცებს კი მუნდირები უტრაუროთ. ღვთის-მსახურებას დაესწრო დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს-ძე. 11 საათზე კრემლის დიდ სასახლეში, ღვთის მშობლის ეკკლესიაში, სასახლის სამღვდელოებამ გადიხადა პანაშვიდი, რომელსაც დაესწრნენ მათი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი ელისაბედ თეოდორეს ასული, ვლადიმირ ალექსანდრეს-ძე და ანდრია ვლადიმირის-ძე.

**მოსკოვი.** 14 აპრილს მათ უდიდებულესობასთან წარდგენის ბედნიერება ჰქონდათ თავად-აზნაურობის წინამძღოლს, მაზრის მარშლებს, დეპუტატებს და მადლობა მოახსენეს სააღდგომო საუზმის მათთან მირთმევისათვის. თ. ტრუბეცკოიმ მოახსენა მათ უდიდებულესობათ, რომ თავად-აზნაურობა გაბედნიერებულ იქმნა დედოფალი მარიამ თეოდორეს ასულისაგან უქვეშევრდომილეს ტელეგრამაზე პასუხის მიღებით; ამასთანავე მოახსენა უქვეშევრდომილესი სამძიმარი დიდი მთავრინა ალექსანდრე პეტრეს ასულის გარდაცვალების გამო.

**ყაზანი.** 15 აპრილს მოსკოვში წავიდა განათლების მინისტრის ამხანაგი, რომელმაც აქ ორი დღე დაჰყო უნივერსიტეტის საჭიროებათა და ღარიბ სტუდენტებისათვის ასაგებ სახლის პლანების გასაცნობად.

**ლონდონი.** გაზ. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ლედი-სმიტიდან, რომ ბურები ზამთრის გატარებას ნატალში აპირებენო; საქონელს ნატალის მთავაკეებზე მიერეკებიან საძოვრად და მკვიდრთ საკომლო გადასახადს ართმევენ.

იმავე გაზეთს ატყობინებენ კაპშტადტიდან, რომ იოჰანესბურგში სამადნოების ნახვრეტები, რომელნიც აფეთქებისათვის იყვნენ დამზადებულნი, ისევ ამოუვსიათ.

გაზ. „დეილი ქრონიკლს“ დეპეშით ატყობინებენ ბლუმფონტენიდან, რომ ოლდერსონი ამხედრებულმა ქვეითა ჯარმა თავი დაანება ბურების დევნას, რენდელი კი ისევ ზდევს მათ. ვეპერენის ჩრდილოეთით მტერი აღარ არის.

გაზ. „ტაიმს“-ს ბლუმფონტენიდან ატყობინებენ დეპეშით, 13 აპრილს: „როგორც სჩანს ძნელი იქნება უკან გაბრუნებულ ბურებს საგრძნობელი ზარალი მიეცეს. ლუი-ბოტამ, რომელიც ორშაბათს მოვიდა დევეტსდორპში, მაშინვე გამოარკვია საქმის მდგომარეობა და უბრძანა ჯარებს დაუყოვნებლივ უკან დაეწიათ.

**ბლუმფონტენი.** ფრენჩი და რენდლი გავიდნენ დევეტსდორპიდან ბურების დევნის განსაგრძობად.

**ალივალპორტი.** მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ 300 ბური ბუშმანსკოპშია, 400 მაქსიმეს სისტემის ორი ზარბაზნით—მდინარე კალენდონთან.

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ლორენცო-მარკეზედან დეპეშით ატყობინებენ, 13 აპრილს: ბეგვის თოფხანას იოჰანესბურგში, რომელიც გადიდებული იქმნა, სანამ მართებლობას გადაეცემოდა, ხელმძღვანელობდნენ კრეზოს ფირმის წარმომადგენელნი. მუშათა უმრავლესობა კრეზოსთან გაწრთვნილები იყვნენ. დაჭერილია 20 კაცი, რომელთაც აფეთქებას სწამებენ.

**ლედი-სმიტი.** ბურებმა რამდენიმე ასი კაცი გასავალი ხეობების

დაცვას მიუჩინეს ვანრენენმა, ოლივიემ, გუკმა, დებიურმა და ივანე ნიკერვმა, რომელნიც ბურების ჯარებს ანაწილებენ, განკარგულება მოახდინეს, რათა ყველა ჯარები იმ გასავალთან შეიკრიბონ, რომელზედაც ინგლისელები მიიტანენ იერიშს.

**სურა-ლეონე.** რომეტედან იტყობინებიან, რომ ჯოუნისის ხალხი აჯანყებულა; ჯარები გაგზავნილია იქითკენ.

**16 აპრილი**

**პრეტორია.** როგორც უკანასკნელი ცნობებიდან სჩანს, იოჰანესბურგში მომხდარ აფეთქების დროს დახოცილან 30 და დასახიჩრებულან 54. მართებლობა დარწმუნებულა, რომ უბედურება შემთხვევის მიზეზი არ არის. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს კიდეც.

**ლონდონი.** სამხედრო უწყებას მოსვლია დეპეშა, რომლიდანაც სჩანს, რომ პრეტორიაში მყოფ ინგლისელ ტყვეთაგან 10 კიდევ მომკვდარა და რომ საზოგადოდ ავადმყოფობა არ მცირდება.

**ნეაპოლი.** ტუბერკულოზთან ბრძოლის კონგრესმა დაადგინა, დანიშნულ იქმნეს სამ წევრიანი კომიტეტი, რომელმაც უნდა დაამტკიცოს საერთაშორისო ლიგის საჭიროება ტუბერკულოზთან საბრძოლველად. კომიტეტის წევრებად არჩეულ იქმნენ გერმანიის მხრივ ჰერცოგი რატიბორი, საფრანგეთის მხრივ პროფესორი დანნელოვი, იტალიის მხრივ მინისტრი ბაჩჩელი.

**კონსტანტინეპოლი.** რუსეთის რწმუნებულს აუდიენცია ჰქონდა სულთანთან.

**ბელგრადი.** საკასსაციო პალატამ დაამტკიცა პირველი ინსტანციის დადგენილება, რომლითაც ტაუშანოვიჩის პასუხი-გებაშია მიცემული. მარტის განმავლობაში გადასახადის დეპარტამენტში შემოსულა 2,668,779 ფრანკი, ნახევარი მილიონით მეტი, ვიდრე შარშან სამი თვის განმავლობაში.

**კიევი.** მთელი გუშინდელი დღე აუარებელი ხალხი მოდიოდა პოკროვის მონასტერში განსვენებული დიდი მთავრინის ალექსანდრა პეტრეს ასულის თაყვანისაცემლად. ორი დღე განუწყვეტლივ პანაშვიდს იხდიდნენ მიტროპოლიტი იოანიკი, სამი ვიკარი და მრავალი სამღვდელოება. დღეს სულის წირვა იყო და შემდეგ წესის აგება. ეკკლესიაში ბრძანდებოდნენ დიდი მთავრები: ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, პეტრე ნიკოლოზის ძე, დიდი მთავრინა მილიცა ნიკოლოზის ასული, პრინცი ალექსანდრე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი, თავ. ალექსანდრე რომანოვსკი, გენერალ-გუბერნატორი, საბლერი, გრაფი იგნატიევი, სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენლები და დიდი საზოგადოება. 12 საათზე კუბო საფლავისაკენ წაასვენეს და მონაზონებმა დაასაფლავეს.

**17 აპრილი**

**პეტერბურგი.** ვოლჟსკო-კამის სავაჭრო ბანკის აქციონერთა კრებაზე დამტკიცებულ იქმნა 1899 წლის ანგარიში. წმინდა მოგებაა 3,649,421; დივიდენდისათვის გადიდო 2,840,000 მ., 71 აქციაზე, ე. ი. 28%. დანარჩენი 13,807 მ. მიათვალეს 1900 წლის დივიდენდს; სათადარიგო თანხა ავიდა—4,243,421 მ., სათადარიგო დივიდენდი—2,323,630 მ., მოძრავ ქონებათა გადასახადი კაპიტალი 617,361, სულ 7,184,412 მ.

**პარიზი.** გამოფენაზედ ჩამონგრეულმა ხიდმა მოჰკლა სამი მამაკაცი, ერთი ქალი და ერთიც პატარა ქალი; ამათში ერთი უცხოელიც არ ურევია; დაჭრილთა რიცხვი 10-მდე არის; მუშები მაშინვე გაეშურნენ უბედურების ადგილისაკენ. გამოფენა მეტად ამოძრავებული იყო უბედურების დროს.

**ბლუმფონტეინი.** პოლ-კერიუს დივიზია დღეს დილით მოვიდა.

**პრეტორია.** მართებლობის მიერ დანიშნული ექსპერტები—ტეხნიკები დარწმუნებულნი არიან, რომ ბეგვის ქარხნის აფეთქება იყო შედეგი ბოროტ-განძრახვისა. ასაფეთქად უხმარიათ დინამიტი ანუ ნიტროგლიცერინი. აღმოჩენილ იქმნა მაღარო, რომელიც გაყვანილი ყოფილა სახლიდან, რომელშიაც არავინ იდგა, იმ ადგილამდე, სადაც პირველი აფეთქება მოხდა. რკინის გზით მიმოსვლა დელაგოას ნავთსადგურამდე შეწყვეტილია, რათა ვერ გაიქცნენ ვიზედაც ეჭვია მიტანილი. დაჭერილთ შორის იმყოფებიან ბეგვთა ქარხანის წარმომადგენელის ვილიამ ბეგეის შვილები. დატუსაღებულთა დროებით განთავისუფლება თავდებობით უარყოფილია.

**მასსერუ.** დღეს, დილით, ტაბანჩუსაკენ სროლის ხმა ისმოდა რამდენიმე საათის განმაელობაში. რა შედეგი, იყო არა იციან. ბურები, რომელნიც ვეპერენს და დევედსდორფს მიატოვეს მიდიან გზაზე კი-არა, არამედ მინდორ მინდორ, რომ ბაზუტოლანდის საზღვრებიდან არ დაუწყონ ზვერა.

**ტაბანჩუ.** რაზმები რენდლის და გამილტონის წინამძღოლობით გუშინ მოვიდნენ აქ მშვიდობით. როგორც იტყობინებიან, ცხენოსან ჯარს მცირედი შეტაკება ჰქონია ბურებთან ტაბანჩუდან სამხრეთით.

**კიმბერლეი.** მეტუენის შეკვეთით დაუმზადებიათ მშვენიერი ძეგლი ვილბუა მორელის საფლავზე დასადგმელად. ძეგლზე წარწერა ფრანგულ ენაზეა.

**პარიზი.** ჩამოქცეულ ხიდის ნანგრევებიდან აქამდის ამოიღეს 7 ადამიანის გვამი. მუშაობა ჯერ არ დაუსრულებიათ. ჩანგრეული ხიდით გამოფენა შეერთებულიყო ცის კამარის პანორამასთან, და გამოფენისა არ ყოფილა. იგი აშენებულიყო პანორამას საზოგადოებისაგან და ჯერ არ იყო დამთავრებული. ჩამონგრევის დროს ხიდზე 8 მუშის მეტი არ ყოფილა, მაგრამ საუბნდუროდ ხიდ ქვეშ ბევრი ხალხი ირეოდა. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ბრალი ამშენებელთ ედებათ, რომელთაც ძალიან ადრე მოუცლევინებიათ ხარაჩოები. ხიდის ჩამონგრევის დროს დაშავებულთაგანი საავადმყოფოში გარდაიცვალა კიდევ ორი მამაკაცი და დედაკაცი. რამდენიმე დაშავებულთა მდგომარეობა აგრეთვე სამძიმოა. ნანგრევებს გასუფთავება და მოკლულთა ძებნა არ დასრულებულა.

**გელსინგფორსი.** 16 აპრილს გენერალგუბერნატორისა და სხვა მმართველის უფროს მოხელეთა თანადასწრებით გადახდილ იქმნა ლიტურგია და პანაშვიდი განსვენებულის მონაზონის ანასტასიის სულის მოსახსენებლად. შემდეგ დიაკონმა წაიკითხა უუმაღლესი მანიფესტი.

**კაპშტადტი.** რომ მზად იყვნენ ყოველ შემთხვევისათვის, გამოიცა ბრძანება, დაცლილ იქმნას ყველა საავადმყოფოები და ყველა ავადმყოფნი, რომელთა მდგომარეობა ხელს შეუწყობს მას, გადაყვანილ იქმნან საავადმყოფო გემებზე.

**ლორენცო-მარკეზე.** გემი „ჟირონდი“ გავიდა 135,000 გირვანქა სტ. ოქროს ფულითა და 121,000 გირვანქა ოქროთი დატვირთული. ამ ოქროს ჰგზავნის პარიზში ერთი ფრანკფურტის ბანკი იოჰანესბურგში მყოფი.

**პარიზი.** შუადღის 4 საათ. გამოფენაზე მოხდა უბნდურება: ხიდი, რომელიც უერთდება მარსის მინდორს ცის კამარის პანორამასთან, ჩაწვა. აქამდე ნამტვრევების ქვეშიდან გამოღებულია 5 მოკლული; გარდა ამისა რამდენიმე დაჭრილია და დაზიანებული. ყველა ზომები მიღებულია საშველად.

**გააგა.** ბურთა მისსია 1 მაისს ამსტერდამში მივა და 4 მაისს მაასდამის“ გემით ამერიკაში გაემგზავრება. ლეიდსი და მილლერი დარჩებიან ევროპაში.

**ჯედდა.** აქ მყოფ მლოცველთა შორის აღმოჩნდა, როგორცა ჰგონიათ, ჭირით ავადმყოფი.

**ბლემფონტეინი.** ამბობენ, რომ ინგლისელები ამის შემდეგ ტაბანჩუს თავს არ დაანებებენ, რადგანაც მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა; აქვს, უმეტესად კი იმიტომ, წინააღმდეგობა გაუწიონ ბურების თავ დასხმას. ბურების რაზმები, რომლებიც მოქმედებდნენ ტაბანჩუსკენ, ეხლა თან-და-თან მცირდებიან. ბურები დამშვიდებულნი ანებებენ თავს ბრძოლის ველს და სახლებში მიდიან; თან ამბობენ, რომ იგინი აიძულეს მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში, მიუხედავად იმისა, რომ ფიცი ჰქონდათ მიცემული ინგლისის მორჩილნი ყოფილიყვნ. დაჭერილ წერილებიდან და სხვა წყაროებიდან სჩანს, რომ ბევრ შემთხვევაში მორჩილებას აცხადებენ იმ განზრახვით, რომ ყოველ დროს შესძლებოდათ ამბოხება და ცარცვა გლეჯა ინგლისელების გზებზედ. ჰფიქრობენ, მიღებულ იქნება ზომები, მკვიდრთა იარაღის ასაყრელად.

**ბუხარესტი.** დიდი მთავრინას ალექსანდრა პეტრეს ასულის გარდაცვალების გამო ხელმწიფის სასახლე გლოვობს ორ კვირას.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა | 1 გ. | —10 | კ. |
| სუკი . . . . | 1 › | —15 | კ. |
| › ცხვრისა . | › › | —11 | კ. |
| › კამეჩისა. . | › › | — 5 | კ. |
| › ღორისა. . | › › | — 8 | კ. |
| › ღორის ზარკალი სალორეთი . | 1 › | —10 | კ. |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იისფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფურნისა | I | ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| › › | II | › | › › | 3½ | › |
| › › | III | › | › › | 3 | › |
| იგივე თორნისა | I | › | › › | 5 | › |
| › › | II | › | › › | 4 | › |
| › › | III | › | › › | 3½ | › |
| ლავაში ჭკ. მამ. | I | › | › › | 6 | › |
| › › | II | › | › › | 4 | › |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოჯზადზე,

| | ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ., |
|---|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. | 1 | 1 | 30 | 1 | 20 |
| ხორ. წითელი. | 1 | 1 | 15 | — | |
| ქერი | 1 | — | 88 | — | 85 |
| სიმინდი | 1 | — | 70 | — | — |
| ფქვილი სოფლისა | 1 | 1 | 20 | — | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | — | — |
| კომბოსტო | 1 | — | 60 | — | — |
| კარტოფილი | 1 | — | 60 | — | — |
| ხახვი | 1 | — | 50 | — | — |
| თივა | 1 | — | 60 | — | — |
| ბზე | 1 | — | 28 | — | — |

შუშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შუშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 8 გაშეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი 8ადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

---

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% შავ-ნარევი—ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

---

### საავადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოხიფოვისა. რვე 230 კაპ. ღარიბთათვის რჩევა, ჩაა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

**თვალების სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს**, რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 22 აპრილს 1900 წელს დანიშნულია ვაჭრობა დამტვრეულ ქვისა და ქვიშის მოსატანად ქალაქის გზატკეცილების შესაკეთებლად: 1, 2, და 3 პოლიციის ნაწილებში საჭიროა 100 კუბიკური საჟენი ქვა და 20 კუბიკური საჟენი ქვიშა; 4, 5 და 6 ნაწილები—50 კუბ. საჟენი ქვა და 10 კუბიკური საჟენი ქვიშა; 7 და 8 პოლიციის ნაწილში—250 კუბ. საჟენი ქვა და 50 კუბ. საჟენი ქვიშა და მე 9 და 10 ნაწილში—200 კუბ. საჟ; ქვა და 40 კუბ. საჟ. ქვიშა, ამასთანავე ეს საქმე შეიძლება გადაეცეს მსურველს ერთად ანუ ნაწილ ნაწილ. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მიიღოს მონაწილეობა, შეუძლია პირობები გასინჯოს გამგეობის მესამე შენობათა განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეები გარდა, 9 საათიდან სამ საათამდე. (6. 3—1)

---

წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1 | — |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | « | —50 |
| ღაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | « | —10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პსევდონიმი) | « | —20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | « | —70 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| იგივე III ტომი | « | —60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | « | —80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | « | —10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | « | —60 |
| იგივე II ტომი | « | —60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | « | —60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | « | —40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | « | —20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | « | —50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | « | —15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | « | —15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1 | —20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1 | —50 |
| რძე მისივე | 1 | —50 |
| სიბრძე ბალავარისა | « | —30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | « | —80 |
| დასტურ-ლამა | « | —10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.

---

ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი I საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი II სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი III წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი IV მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრძყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. ზ. გუნია.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Апрѣля, 1900 г.

სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. განქის დიდი ქუჩა, № 27.